ნაწილობრივ გვარდიას არ ჰყავს, ხოლო მთავრობის, მეთაურების, განკარგულების მიმცემი და გეგმის შემდგენი.

აქამომდე ამ გვარდიელთ მხოლოდ თავგანწირულება და თავისუფლების სიყვარული—ახასიათებს და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასე იქნება მომავალშიც.

წითელი გვარდია მცირე რიცხოვანია. ის მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებშია შემდგარი. მაშ-კი მთელი ამიერ-კავკასია და ყველა მისი ტაგარეთ და საშინაო ფრონტები აქვთ დასაცავი და საპატრონო. შესწევთ მათ ამის ძალა? საჭიროა თუ არ დაჩქარება ან მათს გვერდში ახალი ძალების შექმნა, სხვა გუბერნიებშიც ან და მათი სამოქმედო ასპარეზის შემოკლება, რომ მათ გაუძლონ დაკისრებულს მძიმე მოვალეობას?

დღეს წითელი გვარდია ცხინვალში იბრძვის ოსთა რაზმების წინააღმდეგ. თუ ცხინვალშიც ისეთივე გეგმით არიან ისინი გაგზავნილი, როგორც ვაქვათ თელავში, სადაც ხულიგან ჯარისკაცების დამორჩილება იყო საჭირო, წითელი გვარდიის გამარჯვება; რაშიდაც ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს, საქართველოს ნაყოფს ვერ გამოიღებს. გარეგნული იქნება გამარჯვებაც და ამბოხების ჩაქრობაც. ოსთა მეთაურებს, ისევე, როგორც ხარგებოვს, შესაძლოა დანაშაულს აპატიებენ და ამის შემდეგომ დაიწყება მუშაობა ახალი ამბოხების, ახალი აჯანყების მოსამზადებლად.

ოსები ცხოვრობენ ქართველი ერის მიწა-წყალზე. ბევრს მათგანს 100—120 დესეტინა საუკეთესო მიწა აქვს, უმრავლესობას კი 30—40 დესეტინა. მათ არ მოსწონთ, როდესაც მათ 7—15 დესეტინაზე მეტი მიწის ჩამორთმევას უპირებენ. ამ ნიადაგზე აღმოცენებული მათი აჯანყება. ჩრდილო-კავკასიის ოსების და ბოლშევიკების დახმარებით და ხელმძღვანელობით ისინი ქართველ ერს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ.

ამიტომ ამბოხებას, ნამდვილ ომის წამოწყებას არ უნდა დაუპირისპიროს მარტო წითელი გვარდია. საჭიროა საერთო მობილიზაცია ყველა ჩვენი მტრისა და აგრეთვე ოსებით მოსახლერე კუთხეებისა—ცხინვალის, რაჭის, დუშეთის და გორის მაზრის. საქართველოს მიწა-წყალზე თითეული ოსი რჩება როგორც „მეზობელი". მან ეძლევენ სხვის საკუთრებას და უპოვრებიენ იმდენ მიწას, რამდენსაც უპოვრებენ იმ მემამულეთ, რომელთაც ათასობით დესეტინა საკუთარი მიწა ჰქონდა. ისინი ამითაც კმაყოფილი არ არიან და ქართველ ერს ომს უცხადებენ.

აქედან დასკვნა ერთი უნდა იყოს...

## ცხინვალის ფრონტი

ცხინვალი, შესაძლებელია, საქართველოს სასიცოცხლო ფრონტად იქცეს. იქ სწარმოებს ეხლა ნამდვილი ომი, ყველანაირ ჯურის იარაღის საშუალებით და ჩვენ უკვე ცნობები გვაქვს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ომი ადვილად არ გათავდება, რადგანაც ოსობის ბრძოლა მასიური ხასიათის დებულობს. თუ ვინ რომ დავინახოთ იმ პირებს, რომლებიც სულ ოდნავადაც ვერ აშკარავებენ ცხინვალის ამბების ნამდვილ ხასიათს, საკმაოა დაკვირვებლად მთავარი მიზეზი, რომ საკითხი ნათელი გახდეს. ცხადია, ცხინვალშიც ის მთავარი მიზეზი მოქმედობს, რომელიც მოქმედებს ერევანში, ბაქოში, შაჰრიზში და სადახლოში.

ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხანში უკვე მოხწია ჩვენშიც და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციონერ სოციალისტებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრაგედიაა ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალურ რეფორმების და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასეთია მდგომარეობა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და ასეთი სურათი იშლება დღეს საქართველოშიც. ის რაც მოხდა თათართა—სომეხთა შორის უნდა მოხდარიყო საქართველოშიც—ამის მაჩვენებელია სწორედ ცხინვალის ამბებიც.

შეიძლება გაიხარ ოსობის, მოგვწევს დღეს საქართველოს ჩრდილოეთ მიდამოებზე ბრძოლა, თუ ვერ ვერ ვაიძულებთ ის ზოგი პოლიტიკოსი, რომელსაც იხიარებენ დღეს ყველა ერები ჩვენში, გარდა ქართველებისა. პოლიტიკა წაგლეჯისა, აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მადლობი—ოსეთია! იმ ანარქიისა და ნგრევის დროს, რომელიც მეფობს დღეს ჩვენში და ისეთ პატარა და უკულტურო ერისთვის, როგორიც არის ოსობა, არაფერია იმაზე ადვილი, რომ განუხორციელებელ ოცნებებით იკვებებოდეს. და მათ პატრიოტულ თავში საქართველოს გულში დამოუკიდებელ ან ავტონომიური ოსეთის შექმნის იდეა აღმოცენდა. არის ეს პოლიტიკური იდეა, ან ნაციონალური მისწრაფება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ჩვენ დროშიც, რევოლუციისა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, ეს იდეა ავაზაკური იდეათ დარჩება. ჩაუფიქრდით ამ იდეის შინაარსს. ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილი საქართველოსი, სადაც ამ ჟამად ოსები სცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი. ვინც ჩვენ იმას გვეტყვის, რომ დღეს იქ ქართველები არ სცხოვრობენ, ამიტომ ის არც საქართველოა, მან ისიც უნდა სთქვას, რომ არც ხერხემალია ტანისთვის აუცილებელი რამ, რადგანაც მაზედ არ არის ოვალები, ყური, ან გული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქ გულის სიღრმეში ოსობის უბრალო ხალხი, რომელსაც პოლიტიკოსის შხამი ჯერ არ ჩასწვეთებია გულში, ასევე მსჯელობს. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ასე მსჯელობდა დღევანდელ ავანტიურისტებამდე, რადგანაც ჩვენ გვსმენია მრავალი პოლიტიკური ფანტაზია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში — არა. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სულისკვეთება ძირიანად შეცვლილი არ არის დღეს ოსებში და ისინი საფუძვლიანად არ იწრაფიან თავის „იდეალების" განხორციელებას. დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ რომ მთელ ამ სამწუხარო ისტორიას დიდი კავშირი აქვს ჩრდილოეთ-კავკასიის უკანასკნელ დროის ამბებთან და, შესაძლებელია, პოლიტიკურ იდეალის ტვირთი, რომლის ზიდვა მას არ შეუძლიან, სულ სხვა გარეშე ძალამ აჰკიდა ოსობას. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც სცდებიან და ავანტიურაში ებმიან არა მარტო ცალკე პირნი, არამედ მთელი ერებიც. შესაძლებელია, უკულტურო და პატარა ერს ადვილად მოუჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ჩაება ავანტიურაში. თუ არაფერი გამოვიდა და დავმარცხდით, ჩვენ დაგვსჯიან როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა—გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს! აი, როგორ მსჯელობენ, ალბად ოსის „პოლიტიკოსნი". მაგრამ ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოს მომავლისთვის და საჭიროა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს.

**შ. ამირეჯიბი.**

## ახალი საფრთხე

ეროვნულ საბჭოს 13 თებერვლის სხდომაზე, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა საბჭოს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, შეტანილი იყო წინადადება, რომ ეხლავე, სეიმის საშუალებით მოგვეხდინა კონფისკაცია ქართლ-კახეთის საუფლისწულო და ბორჯომის მამულებისა, რომ ამით გაგვეადვილებინა ნივთიერი ხარჯი საბჭოსი და მიგვეცა მისთვის საშუალება, თუ საჭიროება მოითხოვდა, სესხის აღებისა. პრეზიდიუმის წევრებმა ნ. ჟორდანიამ და აკ. ჩხენკელმა განაცხადეს, რომ წინადადება კარგია, მაგრამ კონფისკაციას დიდი დრო უნდა, საბჭოს კი ეხლავე საჭიროა ფული და ეს ზომა ამიტომ ვერას გვიშველისო. ეს იყო, როგორც მოგეხსენებათ 13 თებერვალს. 7 მარტს გ. ი. საჰ კვირა ნახევრის შემდეგ გამოიცა სეიმისაგან დამტკიცებული დეკრეტი ბორჯომის მამულის კონფისკაციის შესახებ. ამგვარად არც დიდი დრო და არც დიდი ჯაფა, ეტყობა, ამგვარ საქმეს არ სჭირებია.

ბორჯომის მამულის კონფისკაცია მოახდინეს უფრო ადრე, ვიდრე მოსალოდნელი იყო და მოახდინეს ისე, თითქოს არა თუ საქართველოს ეროვნული საბჭო, არამედ თითქოს თვით ქართველი ხალხი და მისი მისწრაფებანი არც კი არსებობდენ. კონფისკაცია მოახდინეს ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით და საბარგებლოდ. ეჭვს გარეშეა, რომ ბორჯომის მამულის კონფისკაციას მოჰყვება საუფლისწულო მამულების კონფისკაცია, ე. ი. საქართველოს ყველა იმ ქონებისა, რომელიც მკვიდრთა საკუთრებასა და სარგებლობაში კი არ გადავა, არამედ დარჩება საკუთრებად სეიმისა, როგორც საერთო ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ორგანოსი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ქართლ-კახეთის საუფლისწულო და ბორჯომის მამულებში გასაყიდი საქონელი (ღვინო, წყალი, ხეტყე და სხვა მეტი მასალა) არა ნაკლებ 15—20 მილიონის ღირებულობას წარმოადგენს. თვით ეს მამულები კი ღირება არა ნაკლებ 200 მილიონისა. საფინანსო კრიზისის შესამსუბუქებლად ამიერ-კავკასიის მთავრობა, როგორც კი დრო შეუწყობს, ერთის მხრივ გაყიდის იმ საქონელს, რომელიც დაგროვილია ამ მამულებში ტრანსპორტის არევ-დარევის გამო, მეორეს მხრივ გამოიყენებს ამ მამულებს შინაგანი ან გარეშე სესხის გირაოთ. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ამგვარი მოსაზრება გამოთქმული იყო ბ. სმირნოვის მიერ შარშან ნოემბერში, როდესაც თბილისში პირველად იხინა თავი უფულობამ და ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით გაიმართა საფინანსო თათბირი. ჩვენის ფიქრით, სწორედ ამ მოსაზრებით აიხსნება ის სისწრაფე, რომელიც მთავრობამ გამოიჩინა ბორჯომის მამულის კონფისკაციის შესახებ და ეს არც გასაკვირველია, რადგან დასაძრახისია ის მთავრობა, რომელიც ამ საშინელ დროს ვერ გამოიყენებს თავის ქონებას აუარებელი ხარჯების დასაფარავად და საფინანსო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას ამგვარი მამულები არ აქვს და ამიტომ იგი ვერ შეიტანს საერთო მთავრობის სალაროში ამის სამაგიეროს. იქაური მამულები უბრალო საზნავ-სათესი და საბალახო ადგილებია, რომლებიც იყვნენ და მუდამ დარჩებიან მკვიდრთა სარგებლობაში. აღმოსავლეთის ამიერ-კავკასიის ტყეებიც, შედარებით, დიდს ღირებულობას არ წარმოადგენენ. მთელ ამიერ-კავკასიაში 3,430,000 დესეტინა ტყეა. აქედან აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში 1240 ათასი დესეტინა, საქართველოში კი 2190 ათასი დესეტ. ტყის სიმდიდრით საქართველო საგრძნობლად სჭარბობს აღმოს. კავკასიას. და თუ ტყეები ამიერ-კავკასიის მთავრობის საკუთრებად იქნა გამოცხადებული, რასაკვირველია, საქართველო წააგებს.

როგორც უნდა მოეწყოს ჩვენი ცხოვრება, საქართველო სახელმწიფოებრივ უფლებებით მაინც აღიჭურვება, ყოველად შეუწყნარებელი უსამართლობა იქმნება, რომ საქართველოს ქონება გაყიდული და დაგირავებული იქმნეს საერთოდ ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ, როდესაც სხვა ერებს თავის ქონება ხელუხლებლივ რჩებათ. მაგრამ ამ უსამართლობის გარდა პრაქტიკულადაც ამგვარად გაფლანგვა ჩვენი ქონებისა დიდათ დასაფიქრებელია და საშიშიათ. რა სახსარი, ან რა შეძლება ექნება საქართველოს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის თუ მაშინ, როცა ჩვენ სახელმწიფოებრივ უფლებას მივიღებთ, ჩვენი სიმდიდრის შესამჩნევი ნაწილი ან გაყიდული, ან დაგირავებული იქნება? მუსულმანებს და სომხებს თავისი შემოსავალი ექნებათ: პირველს დიდძალი საძოვარი ადგილები და უდიდესი ნავთის სიმდიდრე, მეორეს განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და ქალაქის სიმდიდრენი. სახელმწიფოებრივ უფლების მოპოვებისთანავე მათ გადაეცემათ ნაწილი იმ გადასახადებისა, რომელიც დადებული იქნება ადგილებზე, მადნეულობაზე, ვაჭრობაზე და მრეწველობაზე, საქართველოს შემოსავალი კი ამ ახრივ მეტად მცირეა. ნურარას ვიტყვით იმაზე, რომ დეკრეტის ძალით უფასოდ მიწის გადაცემაც, როგორც ეტყობა, არც მუსულმანთა, არც სომეხთა ქვეყნებში არ იქნება გატარებული, მაშინ როდესაც საქართველოში, შესაძლებელია, ასე თუ ისე, იგი განხორციელდება. მეზობელ ერებთან შედარებით საქართველოს ხაზინა ამ მხრივადაც დაღარიბებული იქნება. ქონებით და ეკონომიურად დაღარიბებული და დავალიანებული ერი კი იმგვარივე ყმა მეზობელ ხალხებისა და ერისა, როგორიც იყო და არის აქამდე ბუხარა, ხივა და თუ გნებავთ საბერძნეთიც.

საჭიროა ეხლავე მივიღოთ ზომები ამ საქმის გასასწორებლად. შემდეგში შეიძლება გვიან იქნეს. ეხლავე უნდა აღიაროს შუამდგომლობა, რომ როგორც ბორჯომის, ისე საუფლისწულო მამულები საქართველოს ტერიტორიაზე გადაეცეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს. ამაში უფლებრივი დაბრკოლება საბჭოს არ უნდა ექნეს, რადგან საბჭო უკვე აღიარებულია კომისარიატის დეკრეტით იურიდიულ ერთეულად და იხსს, როგორც ისეთს, უკვე გადაეცა ქართველ თავად-აზნაურობის ქონება და მამული.

ჩვენ ეს საკითხი გვაინტერესებს მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებრივის მხრით. მაგრამ სოციალ-დემოკრატებმაც უნდა მიაქციონ ამას დიდი ყურადღება, ვინაიდან ისინი დღეს მთავრობას წარმოადგენენ და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე მზრუნველობა მათს პირდაპირს მოვალეობას შეადგენს. ხალხის ცხოვრება კი არ გაძლიერდება და გამტკიცდება რეზოლიუციებით და ზოგად დეკრეტებით, არამედ უწინარეს ყოვლისა მისი ნივთიერი მატერიალური მხარის უზრუნველყოფით.

**იასონ ლორთქიფანიძე.**

## ამიერ-კავკასიის სეიმი
### მარტის 20 სხდომა

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე. სხდომა იწყება პირველის ნახევარზე.

სეიმის თავმჯდომარემ გადასცა სეიმს მთავრობის თხოვნა ბაქოში დელეგაციის გაგზავნის შესახებ. დელეგაციაში შედიან: ჰაიდაროვი, ტერ-ნიანი, ონიაშვილი, მახმუდოვი და მელიქ-ეგანოვი: დელეგაციას ევალება ბაქოში მომხდარ უწესოების ჩაქრობა.

სეიმმა თხოვნა შეიწყნარა. შესდგა 5 წევრთაგანი მუდმივი შემარიგებელი კომისია ერევნის გუბერნიაში მცხოვრებ სომხების და თათრების ურთიერთობას მოსაწესრიგებლად.

შესდგა 7 წევრთაგანი სახალხო განათლების საქმეთა კომისია.

კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის თხოვნა არქეოლოგიურ და ისტორიულ მნიშვნელობის მიწების განთავისუფლების შესახებ გადაეცა შესაფერის კომისიას.

გადაეცა მილიონი მანეთი ერევნის გუბერნიის მაჰმადიანთა ლტოლვილების სასარგებლოდ.

მიიღეს ერთხმად სეიმის ნაკაზი, რომელიც შედგენილია მეორეთა სახელმწიფოთა საპარლამენტო მიხედვით. ნაკაზი ძალაშია დროებით.

### ბაქოს ამბები

**მელიქ-ასლანოვი.** აღნიშნავს, რომ მარტის 18-დან მაჰმადიანებსა და ბოლშევიკებს შორის ბრძოლაა. ბოლშევიკები მაჰმადიანთაგან იარაღის აყრას და მათ ხელში გადაცემას მოითხოვენ. სხვათა შორის ბოლშევიკები ხაროაზნებს ისვრიან. ბოლშევიკებს მხარს უჭერენ ყველა სხვა ეროვნებანი, გარდა თათრებისა. ტყვია თათრებით სავსეა კინემატოგრაფები და თეატრები. შეტაკება დაიწყო მაჰმადიანთა მე 60 დივიზიის იარაღის აყრით.

**ნოე რამიშვილი** (შინაგან საქმეთა მინისტრი) აღნიშნავს, რომ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოში ბოლშევიკებს უმცირესობა ჰყავდათ, მაგრამ მათ მხარი დაუჭირეს სხვა პარტიებმა და მათ შორის „მუსავატ"-მა და „დაშნაკცუტიუნ"-მა. ამ ბოლო ხანს ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის მთავრობაზე თავდასხმა გადასწყვიტეს.

**ხაფიკაშვილი** (სოც. ფედ.). აღნიშნავს, რომ ბაქოში ბოლშევიკების პარტია ნამდვილი ველიკორუსების პარტიაა. თუ მთავრობა მათ წინააღმდეგ არ მიიღებს სასწრაფო ზომებს ამას თვით ხალხი შეეცდება.

**რასულ ზადე** (მუს.) აცხადებს, რომ ბაქოსა და მის გუბერნიაში მცხოვრებნი მოკლებულნი იყვნენ ამიერ კავკასიის მთავრობის მზრუნველობას და ამიტომ იძულებულნი შეიქმნენ ბოლშევიკებისთვის ანგარიში გაეწიათ. ბოლშევიკებს არ ებრძოდნენ, რათა ამიერ-კავკასიაში ეროვნული ბრძოლა არ გაეჩაღებინათ. ამ ბოლო დროს ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს სეიმს. დაშნაკცაკანებმა მათ ხელი მოუწყეს. ბაქოში ბოლშევიკური ჯარი—ეს სომხების ჯარია. მათზე გადის მოხდენა შეუძლიანთ დაშნაკცაკანებს.

**მახმუდოვი.** აღნიშნავს, მაჰმადიანებს რომ თავიანთი კორპუსები ჰყავდეთ, თვითონ გაუსწორდებოდნენ ბოლშევიკებს.

კრება იხსნება. სეიმის პრეზიდიუმი მთავრობის და ფრაქციების თავმჯდომარენი სასწრაფოდ იღებენ ზომებს ბაქოს ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

## ზავის გარშემო
### მუშების მიტინგი ხარკოვში

9 მარტს ხარკოვში შესდგა დიდი მიტინგი ართექმნავალთა სახელმწიფო მუშებისა. ხანგრძლივ სჯა-ბაასის შემდეგ მიტინგმა შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა.

ა) ბოლშევიკებისგან მიღებული ზავი დიდი დანაშაულობაა და ზიანი როგორც რუსეთის ისე საერთაშორისო რევოლუციის.

ბ) ეს ზავი აძლიერებს საერთაშორისო ბურჟუაზიის და კერძოდ გერმანიის ბატონობას. იგი სპობს რუსეთის დემოკრატიას და საშუალოდ სილარიბის ასხვერპლად ჰხდის.

გ) მიტინგი არ იღებს ამ სამარცხვინო ზავს და მოითხოვს დაარსდეს ახალი მთავრობა ყველა სოციალისტურ პარტიების შეთანხმებით ან და აირჩეს დამფუძნებელ კრების შემადგენლობიდან.

დ) ამ მთავრობამ უნდა უარყოს ეს ზავი, მოსპოს სამოქალაქო ომი, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, განაახლოს ქალაქის და საერობო მმართველობანი, მოიწვიოს საერთაშორისო, სოციალისტური კონფერენცია, მიმართოს შემწეობისთვის და თავი დაიხსნოს სასირცხვილო მონობას.

ე) გამოცხადდეს ხარკოვის მობილიზაცია. ხოლო სრულიად რუსეთის მობილიზაციის საქმე მიენდოს დამფუძნებელ კრებას.

ვ) ყველა ქარხნებმა უნდა განაახლონ მუშაობა ახალ საჭიროებისთვის.

ზ) ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობა უნდა დაიწყოს 9 მარტიდან (24 თებერვალი) 1918 წ.

### მეფე ფერდინანდის გადადგომა

რუმინეთის მეფე ფერდინანდს განუცხადებია: „მე არა მსურს ჩემი გულისთვის შეფერხდეს ზავის საქმე. ამისთვის ვსტოვებ რუმინეთს". ფერდინანდი ავსტრიით შვეიცარიაში გამგზავრა. ავერესკო გადადგა. მის კანდიდატად კონსერვატორების ლიდერს მარგილომანს ასახელებენ.

### რუსეთის ფლოტი ფინეთში

ფინეთიდან რუსეთის ფლოტი გამოიყვანეს. ჰელსინგფორსიდან რუსეთის გემები სულ კრონშტადტში წავიდნენ.

### ფინლიანდია-რუსეთის ხელშეკრულება

ფინეთის სახალხო კომისარიატის საბჭოთა მთავრობის რწმუნებულმა ხელი მოაწერა ხელშეკრულობას, რომლის ძალითაც ფინეთის რესპუბლიკის ხელში გადადის: უძრავი ქონება რუსეთის ხაზინისა, მიწები, სახლები მოწყობილობა, ქარხნები, ტელეფონის ხაზი, რკინის გზები, ციხე-სიმაგრენი, გემები და სხვა ქონება. ამის გარდა ფინეთის ხელში გადადის ყინულოვან ოკეანის ნაპირი გერმანიის ნაპირზე, ამის და მიხედვით დაწესებულია რუსეთ-ფინეთის საზღვარი. ფინეთი თავის მხრივ უთმობს ქონებას, რაც რუსეთის რესპუბლიკის საზღვრებში ინახება. კერძოდ რუსეთის ხელში გადადის ინოს ნავთსადგური, ვიბორგის და პეტროგრადის გუბერნიების საზღვარზე.

## ომი
### კავკასიის ფრონტი
#### მარტის 21 ცნობა

ზღვის პირის მიმართულებით ამარლებთან შეტაკების დროს დაიჭირა პრაპორშჩიკი ქალბანიანი. სარაყამიშის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიჭირეს სოფელი გერაშკიანი, რომელიც ბარდუსიდან 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

**შატილოვი.**

### ინგლისის ფლოტის ზარალი

გერმანეთის საზღვაო ეუნერალურ შტაბის ცნობით ომის დაწყობიდან დღემდე გერმანელთა წყალქვეშებს ჩაუძირავთ ინგლისის სავაჭრო გემები 9.800,000 ტონი.

### დვინსკში

გერმანული ცნობით, დვინსკის აღებისას 25,000 რუსის ჯარისკაცი დატყვევებიათ.

### რუსის აფიცრები ჩინეთში

ციმბირის გაზეთების ცნობით, რუსეთიდან ჩინეთში დიდძალი აფიცრობა გადაიხვეწა. მათ მიზნად აქვთ საფრანგეთის ფრონტზე გამგზავრება.

## რუსეთი
### 42 მილიონ მანეთის კონტრიბუცია

დონის და კრივოროგის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ერთდროული გადასახადი შეაწეროს ყველა მსხვილ ვაჭარ მრეწველებს.

გადასახადი შეწერილია ასე: ხარკოვზე—5 მილ., ეკატერინოსლავზე—3 მილ., როსტოვზე—10 მილ., სუმზე—2 მილ., იუზოვკაზე—2 მილ., ტაგანროგზე—2 მილ., მარიუპოლზე—1 მილ., ლუგანსკზე—1 მილ., ნოვოჩერკასკზე—10 მ., ნახიჩევანზე—5 მილ. ზემოთქმული ჯამი ფულისა გადახდილ უნდა იქნას 15 მარტამდე. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ყოველივე ღონისძიება იხმაროს ფულის შესაკრებად.

### თავად ლვოვის მთავრობა

სმოლენსში შემდეგი ცნობა მოვიდა ირკუტსკიდან: შესდგა „ახალი მთავრობა" შორეულ აღმოსავლეთის სანაპიროებისა, ოქტომბრამდელ თავად ლვოვის დაუმოკლობის, მთავრობა ამ ჟამად პეკინშია და ელის ტრანსპორტს ვლადივოსტოკიდან, რათა მოსთხონ ერთად შეიკრიბონ შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრებში. ირკუტსკ—ვლადივოსტოკის გზა მოჭრილია.

### შავი ჭირი.

ურალში და ასტრახანში შავი ჭირი მძვინვარებს. ზომები მიღებულია.

### მეოთხე ცოლის შერთვა.

პატრიარქ ტიხონს 19 თხოვნა მოსვლია მეოთხე ცოლის შერთვის ნებართვის შესახებ. თხოვნებს საეკლესიო კრება განიხილავს.

### ხარკოვში

ევაკუაცია მშვიდობიანად ჩაიარა. ტელეფონებზე გადასახადი შეაწერეს. დღემდე ხარკოვში არავითარი უწესოება არ მომხდარა მხოლოდ ციხის კომენდანტის თანაშემწე მოჰკლეს.

### ბოლშევიკების ბრძოლა უკრაინასთან

**ხარკოვი.** 6 მარტი. უკრაინელები ზოლოტონოშამდე ჩავიდნენ. ჯარმა რომოდანამდე დაიხია. სახალხო მმართველთა შემადგენლობიდან გავიდნენ ბოში და ბახრი. კურსკში და ეკატერინოსლავში სიწყნარეა. ხარკოვში 18—50 წლიანების მობილიზაცია გამოაცხადეს. ქალაქში მღელვარებაა. პოგრომების მოლოდინში ზომებს ებრძვის დღევე ღებულობენ.

### ბოლშევიკური ოპოზიცია

9 მარტს, პროფესიონალ კავშირთა საბჭოს სახელით რიაზანოვმა წაიკითხა მოხსენება: „გერმანეთის საზავო პირობები და მშრომელი კლასის მიზნები". რიაზანოვმა განაცხადა, რომ ბოლშევიკების საზავო კრილობის რატიფიკაციის შემდეგ ის გამოვიდა პარტიიდან. რიაზანოვმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზავის მიზეზით, რუსეთი სამუდამოდ გამოეთხოვა არა მარტო პურს, ნახშირსა და შაქარს არამედ ძალასაც. საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ იგი ისეთივე მდგომარეობაში ჩავარდება რანაირადაც 300 წლის წინედ. იაპონელებს მოკავშირეებთან ერთად განუზრახავთ ციმბირის ხელში ჩაგდება. ამის შემდეგ მშრომელთა უფლების დეკლარაცია ქაღალდის ნახევად იქცევა. მოსკოვში სახალხო კომისრების გადმოსვლის შესახებ რიაზანოვმა განაცხადა: ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობა ცდილობდა მოსკოვში გადმოსვლას, მაგრამ მაშინ ბოლშევიკები წინააღუდგნენ მას. პეტროგრადი ამ ჟამად სიკვდილის სიხახარად არის დატოვებული. პოლიტიკურ და რევოლუციონურ ცხოვრების კერა იწრიტება, ირღვევა და 600 ათას კაცისგან შემდგარი ლაშქარი, საუკეთესო მუშა ხალხი სიღარიბის და ტანჯვის მსხვერპლი ჰხდება. ადრევე რომ განეცხადებინათ პეტროგრადელ მუშებისთვის, თუ რა მოელოდათ არა გვგონია ისინი ზავზე დასთანხმებოდნენ.

### პაგონების ტარების განახლება

პრაპ. კრილენკომ ბრძანება გასცა, რათა აფიცრებმა პაგონების ტარება განაახლონ.

## უკრაინაში
### შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა კიევში მყოფ საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ყველა ოფიცრებს, რომ უკრაინა დასტოვონ.

### კიევის კომენდანტი

კიევის კომენდანტად დაინიშნა გერმანელი პოლკოვნიკი ფონ-ლევინსკი.

### თეთრი ეკლესია

თეთრი ეკლესია გერმანელების ხელშია. დეპუტატთა საბჭო გარეკილია. გერმანელებს ქალაქიდან სურსათი გააქვთ.

## ეროვნული საკითხი
### ებრაელთა, არაბთა და სომეხთა ბედი

ინგლისში ახლა ბევრს ლაპარაკობენ ებრაელთა, არაბთა და სომხების ბედ-იღბალზე. იმართება მრავალი კრილობა, რომელზედაც ჰჯიან თუ რანაირად უნდა მოეწყოს მათი საქმე. ინგლისის მთავრობა ჰპირდება ებრაელებს, უფლებრივ თავშესაფრის შექმნას, იგივე გამოსთქვამს წადილს, რათა ებრაელებმა თავს იდვან სომხებისა და არაბთა განთავისუფლებაც ოსმალთა ბატონობისაგან. იცანით ძნელი ისაკისა, რომ ისმაილის ტომი იმ ტანჯვას განიცდის, რასაც თქვენ. ლადიდისით ამბობდა რაბი—ორატორი. ამ მიტინგზე თავისი აზრები წამოაყენა ჰერ-

ბერტ სამუელმა და სხ. ებრაულ მეხ-არაბთა ძალამ ოქროს ხიდი უნდა გასდოს მცირე აზიიდან განათლებულ ევროპაში. გერმანულ გაზეთების დაკერძო „ფოსსიშე ცაიტუნგის“ ცნობით ოსმალეთი არა სთმობს პალესტინას. დიდმა ვეზირმა სტამბოლელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ოსმალეთი ერთად ერთი სახელმწიფოა მთელს ევროპაში, რომელმაც არ უწყის ანტისემიტიზმი. ამისთვის ბალფურის დაპირება, მას ტენდენციონურად მიაჩნია. დიდმა ვეზირმა დასძინა, რომ ოსმალეთის პარლამენტი ამ ჟამად ებრაელთა ავტონომიის შესახებ კანონ პროექტს იმუშავებს.

# უცხოეთი

## პრინც ვიდი რუმინეთის ტახტზე

ბერლინიდან გვატყობინებენ: თუმცა გერმანეთი ოფიციალურად არც მოითხოვს რუმინეთის მეფის ტახტიდან გადაყენებას, მაინც დიდი სურვილია რომ ფერდინანდის ტახტზე ბატონიშვილი ვიდი ავიდეს.

# რადიო-ბიულეტენი

**ბერლინი.** მარტის 21. ნაუენის გერმანელთა რადიო-სადგურიდან. დასავლეთის ფრონტზე, ფრანგების ხაზზე ახალი არა არის-რა.

**სტამბოლი.** აპრილის 2 (ახ. სტ.). ოსმანიეს რადიო-სადგურიდან. პალესტინის ფრონტი. მდ. იორდანის ნაპირზე. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა იყო. ჩვენმა მოიერიშე ჯარმა მესრაას და სენტ პილას ხაზს მიაღწია. აქ ჩვენმა აფიცერთა პატრულმა მტერი დიდად დააზარალა და დაახევინა მას იორდანის აღმოსავლეთით. მტრის ჯარი დამარცხდა და უდევნით. სხვა ფრონტებზე არსებითი არაფერია.

**ვენა.** აპრილის 2. დილის ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია. მტერმა იერიშები მიიტანა ხემუტერნთან, განსაკუთრებით მწვავე—ვონთან, მაგრამ იერიშებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ავრედვე ავრსა და ლუზზახენოხის შორის მტერი ძლიერ დაზარალდა. ავრსა და უაზის შორის ქვეითა ჯარების მცირე ბრძოლა იყო. ფრანგები ლაოუნს უშენენ, სადაც ბევრი მცხოვრები დაზარალდა სროლით. მდ. მაასის აღმოსავლეთით ხაიბიომანტთან და ოტონის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა სადარაჯო რაზმმა რამდენიმე ტყვე წამოიყვანა. გუშინ მტრის 22 საფრენი და 5 საჰაერო ბუშტი ძირს ჩამოვაგდეთ. ლეიტენანტი კროლმა მტრის მე-23 საფრენი. მდ. სომმის სამხრეთ ნაპირზე მე 3 საჰაერო რაზმმა ობერ-ლეიტენანტ ფრიკეს უფროსობით ჩვეულებრივ ფრენა მოახდინა სხვა ახალი არაფერია.

**პარიზი.** აპრილის 2 (ახ. სტ.) ეიფელის კოშკის რადიო-სადგურიდან. მთელი დღის განმავლობაში ცხოველი საარტილერიო ბრძოლა იყო, განსაკუთრებით მონდიდიე და ლასინის შუა. ფრანგთა ბატარეები გერმანელთა დიდ ჯარს კონტინიეს სამხრეთით აზვევინებენ. გერმანელთა ძლიერი მზვერავთა რაზმი, რომელიც ფრანგებმა მდ. უაზის მარცხენა ნაპირზე გააჩერეს, გაფანტეს. ვევრში და ზედა ელზასში გერმანელთა ხელჩართული იერიშები უშედეგო გამოდგა და სხვაგან არსებითი არაფერია.

**ბერლინი.** „ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: ისტორიულ დრამის მეორე აქტი ლინიშნა დასავლეთის ფრონტზე ძველი ბრძოლის ველის დაცლით მდ. სომაზე. ინგლისელთა წინააღმდეგობა ნამდვილად უკვე გატეხილია; ინგლისელთა ჯარის ნახევარი განადგურებულია. ფრანგთა ჯარის საგრძნობი ნაწილი ბრძოლაშია ჩაბმული. გამარჯვების დასაწყისი დიდია. განსაკუთრებით თუ მას შევადარებთ იმ დიდებითი შედეგებს, რომელიც 3 წლის განმავლობაში დიდი მსხვერპლით შეხვდათ ფრონტებს. დასავლეთის ფრონტის წარმოუდგენელ განადგურების შესახებ მრავალჯერ გამეორებულ ცნობის მოუგონება გვავალებს შეუფერად ამ შეტევის ხელმძღვანელთა ღვაწლს. იწყება ახალი შეტევა, რომელიც არ ვიცი რამდენი ხანით გაგრძელდება. უნდა ყოველთვის გვახსოვდეს 600 კილომეტრის ფრონტზე წინ წაწევის მნიშვნელობა მაშინ, როცა გვგონია, რომ ის მალე არ სწყდება ბრძოლის ბედი, როგორც ჰფიქრობ მოუთმენელ დაზვს მოწყურებულ პირებს. ინგლისელთა ჯარი შერყეა. მისი ხაზი მიდის არრასზე, ნოარმუტვილზე და კალეზე; პირველად კი ინგლისელთა დასაყრდენობი პუნქტები უფრო მარჯვნივ უნდა ყოფილიყო. მათ მიერ მიტოვებული ადგილები ფრანგებმა დაიჭი-

...რეს მონდიდიემდე, რათა პარიზზე გადამწქრება შეაჩერონ. ამ ცვლილე-ბან ...ნს, რომ ფრანგებს ეჭვიც ... მათი მდგომარეობის ... ინგლისელთა ჯარის ... და ... სამშიროება ... ...მედი აღარა აქვ

# ქრონიკა

### თბილისი.

◆ **ცხინვალის კომენდანტი** ყულემბეგოვი (ტომით ოსი, ცხინვალის ყოფილი კომისარი) ცხინვალიდან წამოსულებს აძლევს საგანგებო ბარათებს, („პროპუსკებს“) ერთი ამისთანა ბარათი ჩვენმა თანამშრომელმა შემოგვიტანა რედაქციაში. ბარათს აზის კომენდანტის ბეჭედი.

◆ **დელეგაცია ხევის, მთიულეთიდან.** გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ხევის, მთიულეთის, გუდამაყრის და თრუსოს დელეგატები: ანდრია კობაიძე, გიორგი გოძიაშვილი, ლევან დავითაშვილი, ივანე ბურდული და თათარიძე შისოსტროვი, (ოსი) რომელნიც შუამდგომლობენ ამიერ-კავკასიის მთავრობის წინაშე, რათა მალე გაგზავნონ თავიანთ წარმომადგენლები ჩრდილო-კავკასიის მთავრობის წინაშე, რომ იმათ ... მიდამოებზე მთის ცხვარმა ...ით მიაღწიოს და მწყემსობამ მშვიდობ... საზამთრო მთებში. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხეა მოსალოდნელი. საფრთხე ელის ცხვარსაც.

◆ **ქვარას, 25 მარტს,** გაიმართება ქართული წარმოდგენა „არშინ მალ ალან“ ქართულის საქველმოქმედო ქუთაისის სკოლის საჭიროებათა გასაძლიერებლად.

◆ **ქართველ ქალთა სანიტარულ** რაზმის კომისია აცხადებს რომ მოწყალე დების კურსებზე ლექციები დაიწყობა დღეს, 3—6 საათამდე.

მისა: ქუჩის ქ. მელიქიშვილის სამკურნალო. პრაქტიკული მეცადინეობა იქნება ქალაქთა კავშირის ლაზარეთში № 51.

◆ **ამ დღეებში რუსულ ენაზე** გამოვა ხელოვნება-ლიტერატურის ჟურნალი „ASI“ რუსის პოეტის სერგი გოროდეცკის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებულია: სერგი გოროდეცკის „მოდური ელადო“, „ქართული პოემა“. ოვანეზ თუმანიანის—„მაითები“. ნიკო ბარათაშვილის „მერანი“. ომარ ხაიამის „რობაიადები“ გრ. რობაქიძის „ქართული მოდერნიზმი“ და სხ.

◆ **ჯარის კაცი გახო პავლეს ძე** გაგარდაშვილი მ ახურვბა მე 12 კავკასიის, მუშათა ბატალიონში, 1917 წელს აპრილში როცა ამ ბატალიონსა სარ ყამიშზე გაიარა, იქ ვასო გავარდაშვილი ავათ გახდარა დაუწვენიათ ერთ ერთ ლაზარეთში სარიყამიშში. მას აქეთ არავითარი ცნობა არ მოსულიათ მის მშობლებს, ამის გამო სთხოვენ თუ ვისმემ იცით მის შესახებ, აცნობონ სოფ. საქიოში (თელავის მაზრა) პ ვლე გავარდაშვილი.

# ოსების თავდასხმა ცხინვალზე

**გორი.** 20 მარტი. (პირდაპირი მავთულით) აპარატთან ჰსდგას სამაზრო კომისრის თანაშემწე გოგუა.

4 დღის წინედ ოსები თავს დაესხნენ ცხინვალს. ამ დროს მე აწყურში ვიყავი გორის გვარდიით. მივიღე თუ არა მაჩაბლის ცნობა მყისვე გამოვეშურე ხაშურში, ამბოხების ჩასაქრობად. ოსიაურში მაცნობეს ეს ამბავი და მაჩაბელმაც მომითხოვა მე ჩემის რაზმით. ჯერ არ ჩამოვსულიყავი, რომ მაჩაბელი შევიდა ცხინვალში 400 კაცით, ერთი ზარბაზნით და 3 ტყვიისმფრქვევლით. მაჩაბელი თავის რაზმით იცავდა ცხინვალს, ოსები კი მთებზე თხრილებში ჩასაფრდნენ. ცხინვალში შესვლისას გზა გადაგვიჭრეს და 4 კაცი მოგვთხოვეს თვითგასამართლებლად. ჩვენ ვიუარეთ და ოსებმა მიტინგს ტყვია დაუშინეს. მათ გადასჭრეს მავთული და ცხინვალი ცეცხლს მისცეს. მათთან ვერა მოლაპარაკებამ ვერ გასჭრა. ჩვენ მედგრად ვიცავდით დაბას და დღის 3 საათზე ოსები უკვე შემოიჭრნენ შ გ. მათ ზოგი ამოგვაკლეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს და და იარაღი აჰყარეს, ზარბაზანი და ტყვიისმფრ... ... წაგვართვეს. ცხინვალი მთლად გ დაიწვა. მაჩაბელი და კონსტ. კოხაშვილი მოჰკლეს. ცოცხლები: გაგლოევს, სანდრო კეცხოველს, კაპანაძეს, არ ჯავახიძეს და სხვებს. ჩვენ მათი გადარჩენის იმედი არა გვაქვს. დღეს ცხინვალში ავიდნენ თბილისის გორის, ხაშურის და ქვემოქ ლის გვარდიები, ...ცხვ ით 800 კაცი. ჯაყელის მეთაურობით. თან წაიღეს ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვევლები და სხ. გორისა და ქართლის არემარეში მღელვარებაა. აქეთ ოსობა მოსახლეობს. გორიც განსაცდელშია, იმედი მაქვს ჯავშნიანისა, რომელიც სადგურზე სდგას. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ რაზმი და ჰაეროპლანი. ჩვენი ძალა შეიარაღეთ და ფეხზე დააყენეთ. გუშინ გორიდან ოსებს ჩუმად გაუგზავნეს 2 ფურგონი ტყვია-მფრქვევლებით და პატრონებით,

ამბობენ რომ კეცხოველის და მაჩაბლის გარდა მოჰკლეს: ლაშქიძე, კაპანაძის ქალი, კოხიშვილი, და სხვა. ოსებს ძალა ემატებათ. სხვა მაზრებიდანაც იშველიებენ ძალებს. ჩვენები ამბობენ, რომ ცხინვალს თავს დაესხნენ შავრაზმელები, რომელნიც თავადაზნაურობამ მოისყიდა. ოსები იტყვიან: ქართველები უნდა გავდევნოთ და ჩვენები უნდა დასახლდნენ მათს ადგილებშიო. ცხინვალში დიდძალი ოსობა ჩამოვიდა. ამ ჟამად გორში მდგარი ოსების პოლკი 300 კაცისგან შესდგება. ამბობენ, რომ ცხინვალიდან კიდევ ჩადიან პოლკის გასაძლიერებლად.

—

ცხინვალზე მოსული ოსობა რამდენიმე ათასია. ამას გარდა მათ აქვთ კავშირი ჩრდილო კავკასიასთან. ცხინვალის ბრძოლაში მათ სამხარი თხრილები გამართეს. მაჩაბელი და კეცხოველი დიდი წამებით მოჰკლეს.

ოსების თავეში ჰხელმძღვანელობს პრაპორშჩიკი ხარებოვი. ეს ის ხარებოვია, რომელმაც ხელიგანთა ბრბო შეადგინა და გორის მაზრის თავადაზნაურობა ამოჟლიტა. გუბერნიის კომისარმა მას ეს დანაშაული აპატია და სთხოვა, რომ მას, როგორც „შვენებულ პირს“ დახმარება გაეწია მისთვის ანარქიასთან ბრძოლაში.

# ბაქოს ამბები

## მარტის 21, 12½ ს.

(პირდაპირი მავთულით)

ეხლა სიწყნარეა. კომიტეტმა მოსთხოვა მაჰმადიანებს: მთელ იარაღის ჩაბარება, სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობის ცნობა, დაითხოვონ ველური დივიზია, განახლონ მიმოსვლა თბილისსა და პეტროვსკამდის. ვადა დღეს 3 საათზე გადის. მაჰმადიანებს წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ. იწვის ზოგიერთი დიდი სახლები. რა ხდება სამ საათზე არ ვიცით. გთხოვთ, ვიდრე არ გაცნობოთ, თბილისიდან სამგზავრო და ლტოლვილთა მატარებლები არ გამოგზავნოთ. მე 4 მატარებლით წამოსულები ალბათ აჯიქაბულიდან დაბრუნდებიან.

**შეკითხვა.** მსხვერპლის რაოდენობა გამოირკვა?

**პასუხი.** არა. გვამებს ქუჩებიდან ფურგუნებით ჰკრებენ. ამბობენ მოკლულია ათასზე მეტი. დაჭრილთა და ტყვეების რიცხვი ათასზე მეტს აღწევს.

**შეკითხვა.** რამდენი სახლი დაიწვა და ან რომელ ნაწილში?

**პასუხი.** სახლები თათრებით დასახლებულ ნაწილში იწვის. რამდენი არ ვიცი. ეხლა იწვის შემო ბაზარი (თათრული).

**შეკითხვა.** ცნობებს იღებთ თუ არა ქალაქიდან?

**პასუხი.** ერთი ნაწილიდან მეორეში ვერ გავა კაცი. ტელეფონი მუშაობს. შეიძლება შეკითხვა ნაცნობებთან.

**შეკითხვა.** მიდამოებიდან სოფლელები ქალაქისკენ არ მოდიან?

**პასუხი.** ბალაჯარიდან ელოდით, მაგრამ ჯერ ჯერობით ძნელია ქალაქში შემოსვლა.

**შეკითხვა.** რამდენი კაცია დაახლოებით ბოლშევიკების მხარეზე? რა ძალა აქვთ მათ.

**პასუხი.** არ ვიცი. ამბობენ მათ ძლიერი ძალა აქვთ. მოელიან დახმარებას კრასნოვოდსკისა და ასტრახანიდან.

(ლაპარაკი პირდაპირი მავთულით)

მარტის 21. 7 საათსა და 30 წამს ბაქოსა და თბილისს შორის პირდაპირი მავთულით შემდეგი ლაპარაკი მოხდა:

„თათრებსა და ბოლშევიკების შორის ზავი შემდეგ 3 რობებით ჩამოვარდა.

1) თათრები აღიარებენ საბჭოთა ძალა უფლებას და მის ყველა ბრძანებებს ემორჩილებიან. 2) „ველურ დივიზიამ“ იარაღი უნდა აიყაროს. დანარჩენი ეროვნული სამხედრო ნაწილები და სოხური პოლკიც ან უნდა გავიდეს ბაქოდან ან ბაქოს საბჭოს დაემორჩილოს. 3) თბილისსა და პეტროვსკამდე რკინიგზა გაიხსნას. იარაღს ჰყრიან. ამის მეტს ვერ გაცნობებთ. საქ. ეიბატის, პეტრო, ჩერნოგოროდსკის და სალიანსკის მოსამსახურენი თათართა თავდასხმის გამო გაიქცნენ.

**კითხვა:** ქალაქში არის თუ არა ... და ცეცხლი? სიწყნარე ჩამოვარდა?

**პასუხი:** დილით სიმშვიდე იყო. ეხლა სიწყნარეა. ზედა ბაზარზე ცეცხლი გრძელდება, მაგრამ არა ძრიელ.

**კითხვა:** ვინ არის მოკლული ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან.

**პასუხი:** ამბობდნენ მოკლულია მუხტაროვი, ასადულაევი და სხვები, რომელთა გვარს არ ასახელებენ. მუსნადიევი და თაგიევი დატყვევებულნი არიან. ბოლშევიკების მეთაურთაგან არავინ დაშავებულა. ბოლშევიკთაგანიც დახოცეს, მაგრამ ვინ—არ ვიცი. ჟუნიხოვი ჯევანშირის ხელმოწერილი ქაღალდი. საულტიმატუმო პირობებისა. მე დავურეკე სხვებს, მაგრამ ცენტრალ სადგურიდან მიპასუხეს, რომ არა მოქმედებენ.

**კითხვა:** რამდენია მსხვერპლი?

**პასუხი:** ჯერ არ ვიცი, როცა შევიტყობ, გაცნობებთ. ეხლა ლტოლვილთა გაგზავნა გაძნელდა—მათგან არავინ მიდის ბაქოში. ყველა მათთხოვს ბალაჯარაზე გაგზავნას. მე არ შემიძლიან არ ავასრულო ეს, რადგანაც მათ მოთხოვნილებას მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობაც. თუ კიდევ გამოგზავნეთ ლტოლვილნი ვაგონები აღარ გვეყოფა. არ ვიცი როგორ ვუშველო ეს ჭირს.

**კითხვა:** მოკლულთა და დაჭრილთა შორის ქალები და ბავშვები?

**პასუხი:** ამბობენ, რომ არის, მაგრამ—ცოტა.

**კითხვა:** ციხეში ბევრია დაზარალებულნი.

**პასუხი:** არ ვიცი.

# შაუმიანის მოწოდება

(ბაქოს ამბების გამო)

**ბაქო.** მარტის 21. ბაქოს და მის რაიონის რევოლუციონურ დაცვის კომიტეტისაგან. უდროესოდ. საბჭოთა მთავრობის მტრებმა ქ. ბაქოში თავი აიწიეს. შური და სიძულვილი მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციონურ ორგანოსადმი მიმართული ბოლოს დროს აშკარა კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლაში გადაიხატა. „ველურთა დივიზიის“ შტაბის გამოჩენა ნაწილებ თალუშხანოვის მეთაურობით, ლენქორანის, სალიანის, შემახის ამბები, პეტროვსკის აღება დაღესტანელთა პოლკის მიერ და ბაქოში მომავალ ხორბლის დაჭერა, მუქარა განჯისადმი და ბოლო დროს თბილისში განმეორებული მუქარა ბაქოს საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ გალაშქრებისა, ამიერ კავკასიის კომისარიატის ჯავშნიან მატარებლის აგრესიული მოქმედება აჯიქაბულში და რაზმის თავხედური საქციელი ხომ „ეველინ“-ზე, რომელმა რაზმმაც დახვრიტა ჩვენი ამხანაგები,—ყველა ეს მაჩვენებელია უმთავრესად ბეგების პარტიის „მუსავატი“-ს გარშემო თავმოყრილ კონტრ-რევოლუციონერების გეგმის, რასაც მიზნად აქვს დასახული ბაქოს საბჭოთა ძალა-უფლების განადგურება. კავკასიის ლაშქრის სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტი უცხადებს ყველა ამხანაგებს და მოქალაქეთ, რომ ბაქოში საბჭოთა ძალა-უფლებას საფრთხე მოელის, რის გამოც მოუწოდებს ყველას, იარაღით ხელში დაიცვან იგი რევოლუციის და ხალხის მტრებისაგან. შეიარაღებულ ძალთა მოქმედებას დღეიდან ხელმძღვანელობას გაუწევს ეხლახან მოწვეული ქ. ბაქოს და მის რაიონის რევოლუციონურ დაცვის კომიტეტი. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს და მოქალაქეთ თავი მოიყარონ ხსენებულ კომიტეტის გარშემო და საბჭოთა ძალა-უფლების დროშის ქვეშ იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. „მუსავატ“-ის პარტიის ნაციონალისტები და მათი მიმდევარი კონტრ-რევოლუციონური ელემენტები, რომელნიც მთელ მაჰმადიანთა სახელით ლაპარაკობენ, თავდაპირველად მაჰმადიანთა მშრომელ მასსის წინააღმდეგ მიდიან. ჩვენ მოვუწოდებთ მაჰმადიანთა და სომეხთა მუშებს და დემოკრატიულ ელემენტებს ამ გადამწყვეტ ხანაში აშკარად და უშიშრად იარაღით ხელში ქ. ბაქოს რევოლუციონურ დაცვის კომიტეტის დროშის ქვეშ დადგნენ. ძირს ნაციონალისტები და კონტრ-რევოლუციონერები. გაუმარჯოს საბჭოთა რევოლუციონურ ძალა-უფლებას.

კავკასიის საქმეების დროებითი საგანგებო კომისარი **ს. შაუმიანი.**

ბაქოს მუშ., ჯარ. და მეზღვ. საბჭოს თავმჯდომარე **ჯაფარიძე.**

კავკასიის წითელ არმიის ალმ. კომიტეტის თავმჯ. **უთრლანოვი.**

# ანარქია ამიერკავკასიაში

**აჯიქაბული.** მარტის 21. ჯავშნიან მატარებლის უფროსი გოგუაძე—ამიერ კავკასიის მთავრობას, ალიატიდან აჯიქაბულამდე რევოლუციონური წესრიგი თანდათან მყარდება. ვაარსებთ რკინის გზის დროებით დამცველ რაზმს, რომელიც აჯიქაბულს დაეყრდნობა. წინ მივდივართ. აუცილებლად საჭიროა ერთი ჯავშნიანი კიდევ გამოგზავნოთ.

ცნობაა, რომ ბაქოში ბრძოლა სწარმოებს. მაჰმადიანები ბაქოში იყრიან თავს,

მარტის 21. ინჟინერი კოზეკო — ამიერ-კავკასიის მთავრობას. მარტის პირველ ნახევარში რამოდენიმე სიწყნარე ჩამოვარდა რის გამოც ბევრი აგენტთაგანი ლიანდაგს დაუბრუნდა და სხვებთან ერთად მუშაობას შეუდგნენ. მახლობელ მომავალის სასარგებლოდ და პეზმარიტების დასაცავად გთხოვთ დღეში 5 მანეთი მიეცეს იმ მცირე რიცხვს აგენტებისას, რომლებშიც თებერვლის განმავლობაში ევლახსა და ალ ტაფას შუა დარჩნენ.

# კანონი

## ახალ დრო-აღრიცხვის შემოღების შესახებ

1. 1918 წლის მარტის თვის გასვლისას მთელ ამიერ კავკასიაში შემოღებულ იქმნას ევროპაში მიღებული და რუსეთშიაც ეხლახან აღიარებული გრიგორიანული დროთ აღრიცხვა (ახალი სტილი).

2. მარტის 31-ს შუა ღამის შემდეგ, უნდა ჩავთვალოთ, რომ იწყობა 1918 წლის აპრილის 14, კვირა დღე.

3. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში ანუ სამრეწველოებში ყოველგვარი ჯამაგირი და ხელფასის ფული, რომელიც აპრილის თვის ანგარიშში უნდა გაეცათ, მიეცემათ დანიშნულ დროს მხოლოდ გამოკლებულ უნდა იქნეს თვის ჯამაგირის 13/30 ნაწილი.

4. ყოველგვარ თამასუქების და სხვა მოვალეობათა ვადა, ხელშეკრულების ძალით თუ კანონის ძალითაა მიღებული ეს სულ ერთია, რომელიც აპრილის 1—14 უნდა გასულიყო, ასეთი გასულად ჩაითვლება აპრილის 14—27. ამნაირად ყოველ ვადას უნდა მიემატოს 13 დღე.

5. კერძო ან იურიდიულ პიროვნებათა, საზოგადო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა შორის დადებულ ხელშეკრულებათა და სხვა მოვალეობათა ძალა, რომელიც 1918 წლის ლვინობისთვის 1-დე უნდა შეწყვეტილიყო, შესაძლებელია ერთი მხრის მოთხოვნილებისამებრ გაგრძელებულ იქნეს 13 დღით კალენდარის მიხედვით ვადის—შესრულების შემდეგ.

6) ყოველგვარ მოვალეობათა ვადა, რომელიც აქამომდე მიღებულ კალენდარის მიხედვით უნდა გასულიყო 1918 წლის ღვინობისთვის 1-ის შემდეგ უნდა ჩაითვალოს იმავე რიცხვებში.

7) მარტის 31-ის შემდეგ პროცენტების აღრიცხვა ყველა სახელმწიფო და კერძო საკრედიტო ქაღალდების ანგარიშში (სესხად ან მიმდინარე ანგარიშში), ეს პროცენტები უნდა ჩაითვალოს 13 დღით ნაკლებად.

# „ჭეშმარიტ რუსთა“ ჭეშმარიტი ზრახვანი

— უფიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავ.
— არა, ღმერთმანი. აღარ დავიფიცავ.
(ხალხური ანდაზა).

ჩვენი რედაქციის მეზობლად მოკალათებული ეგრედ წოდებული „შეერთებული კომისია“ გულს არ იტეხს.

შავრაზმულ რუსეთის ღვიძლი შვილი, იგი კვლავ ძველ ფანდურზე მღერის.

მას ვერ შეუგნია, რა ხდება ირგვლივ, ჯერ კიდევ ვერ უგრძვნია მთელი სიძლიერე იმისი, რაც თავს დაატყდა „დიდებულ რუსეთს“.

გოროდეცოვ-პოპოვის სამრევლოს ისევ ძველს დროში ჰგონია თავისი თავი, ძველის პოლიტიკის წარმოება და განმტკიცება ჰსურს და სწადიან.

„გოლოს კავკაზის“ კანონიერი მემკვიდრე, „შეერთებულ კომისიის“ ოფიციალური ორგანო „ზაკავკაზსკაია რუს“ დიდად უკმაყოფილოა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში განაპირა ქვეყნებში ნაწარმოებ გამარუსებელ პოლიტიკის ნაყოფით, უკმაყოფილოა, რომ ამ პოლიტიკამ ვერ აღმოფხვრა ძირიან-ფესვიანად ადგილობრივი კულტურა, ვერ გამოფა ეკონომიურად რუსეთი ამიერ-კავკასიაში. იგი ურჩევს რუსეთის მმართველ წრეებს მეტი ციოლონ წინანდელს უვარგისს პოლიტიკაზე და უფრო მედგრად და შეუპოვრად, მეტის სიმკვირცხლით და სიფხიზლით აწარმოვონ ამიერიდან რუსული საქმე ჩვენს ქვეყანაში, ეცადონ განამტკიცონ აქ რუსეთის ეკონომიური ბატონობა.

მ რა ამას როდი კმარობს უებრო პოლიტიკოსი. იგი ურჩევს რუსეთის მთავრობას არ დაკმაყოფილდეს განაპირა ქვეყნებში არც თუ ეკონომიურ ბატონობის მოპოებით. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია რუსის გლეხობის გადმოსახლების საგანგებოდ მოწყობა (ხაზ გასმული დედანშია).

„უნდა გვახსოვდეს—ვკითხულობთ „ზაკავკ. რეჩ“-ის მე-5 ნომერში—რომ რუსეთს ზღვისკენ გასავალი მხოლოდ განაპირა ქვეყნებიდან აქვს და რომ ამიტომ განაპირა ქვეყნების დაკარგვა უდრის რუსეთის ეკონომიურს სიკვდილს, მისი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ ქცევას“.

„განაპირა ქვეყნები მხოლოდ მაშინ იქნებიან უზრუნველყოფილნი რუსეთისთვის, თუ აქ მცხოვრებთა დაახლოვებით ნახევარი მაინც რუსობისაგან იქნება შედგენილი“ (ხაზგასმული დედანშია).

ამაზე აშკარად გამოთქმა აზრისა ყოვლად შეუძლებელია...

აზრი იგი მარტივი და ნათელია...
ნათელზე უფრო ნათელი ..
ვისაც აქვს ყური სმენად, იმინოს...

იგულისხმოს, რომ გარედ დამარცხებულს რუსეთს გოროდეცევ-პოპოვოსეცკის ორგანო სასტიკს შურისძიებას ურჩევს შინაურებზე...

იგულისხმოს, რომ თუ ჩვენის ქვეყნის შავი ყორანნი როდისმე წელში გასწორდნენ, კუთილს არ დაგვაყრიან.

მათ კვლავ „სეპარატიზმი“ ელანდებათ იქ, როცა მათგანვე მტრის წინ ხელფეხშეკრული ქვეყანა გმირულად იბრძვის თვითარსებობის შესანარჩუნებლად, უკანასკნელი სისხლის წვეთის დაღვრას ჰფიცავს იმ სიმაგრეების ხელში შესანარჩუნებლად რაც ულაპარაკოდ დაუთმო ბერის „ზემხედრამ რუსეთის“ მემხედრამ მთავრობამ.

მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ დღე გამოცვლება შეუცვლელია, რომ დღეს, როდესაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა აღიარებულია, სეპარატისტებად ისინი-კი არ ჩაითვლებიან, ვინც იცავს ამ დამოუკიდებლობას, არამედ ისინი, ვინც ცხადლივ თუ ფარულად სცდილობს არსებულ მდგომარეობის დარღვევას, დაურიდებლად და ბრიყვულად ისვრის სხვა და სხვა დრო-მოჭმულს ლოზუნგებს..

ცხენს ვერ მოერივნენ და უნაგირის დამტვრევას ჰლამობენ...

ეს გასაკვირველი არ არის.

მაგრამ რას აკეთებენ ისინი, ვისაც წილად ჰხვდა დღეს ამ „უნაგირის“ პატრონობა?

როდემდის უთმენენ თავგასულ „პოლიტიკოსებს“?

რათ აძლევენ მათ საშუალებას კვლავ აწარმოვონ შავრაზმული აგიტაცია?

**შეუპოვარი.**

